



ნათლისღება – საზეიმო წირვა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში



ქ. ოზურგეთში, ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში ნათლისღების დღესასწაული აღნიშნეს. საზეიმო წირვა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეფუფე იოსებმა** აღავლინა. შემდეგ კი ტრადიციული წყლის კურთხევის რიტუალი შესრულდა.

ნათლისღება — ახალი აღთქმის ერთ-ერთი უძველესი საიდუმლო და ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიათა ნაწილი 19 ანგარს აღნიშნავს. ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში მონათლა იესო ქრისტე.



ქ ა რ თ ლ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
ყოველკვირეული გამოსვლა. № 2 (10469) 22 იანვარი, 2024 წ. ფასი 80 თეთრი.

ბანსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესახებ სამუშაო შესვედრა გაიმართა



გურიაში უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დენილითა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა გასულითი სამუშაო შესვედრა გამართეს.

გურიაში უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 10-00-მდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართს გადასცემს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 1000-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლებსაც 3 ან მეტი არასრულწლოვანი ჰყავთ საცხოვრებელი ფართი გადაეცემათ. პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება და მისი ვაშური ბიუჯეტი 50 000 000 ლარს შეადგენს.

გურიაში გამართულ სამუშაო შეხვედრას დენილითა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილე **დავით გურამიშვილი**, დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ზურაბ ზეიდაძე**, სამართლებრივი უფროსი თენგიზ ყურაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მისწრაფეშვილი**, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერების მოადგილეები და სოციალური სამსახურების წარმომადგენლები დაესწრნენ.

რატომ აკროტისტებენ გზის მშენებლობას მაკვანეთელები

ალიონი. – ათეული წლებია ვიცნობდით ჩვენი უბნის მცხოვრებლები, რომ ასფალტირებული გზა გვქონდა. მარმან გავიგეთ, რომ ტენდერი გამოცხადდა. შემდეგ გზის მშენებლობა დაიწყო. ძალიან ვეინაროდა. როგორც შეგვეძლო, ისე ვაქცევდით ყურადღებას მშენებლებს. გვეგონა ზამთრის დადგომამდე დასრულდებოდა სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ვერ მოასწრეს. დეკემბრის ბოლოს, ძალიან ცუდ ამინდების დროს მოიტანეს ასფალტი და დააგეს ერთი ფენა (გვიტონრეს, ასე არის პროექტში) თავად ხელაუთ, უკვე ამოტეხილია. ვფიქრობთ, ბევრ ადგილზე მისი სისქე 6 სანტიმეტრი არ არის. გაოგნებულები ვართ. ორი დღის წინ მოსახლეობამ პროტესტი გამოიტყა, იყვნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **გიორგი ლურჯუაშვილი** და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, დაგვირდნენ ექსპერტს მოიწვევენ და შეამოწმებენ ნამუშევარს. ნასაკიროდში ჩინურ კომპანიას 2-ჯერ მოუწია უზარხოვად დაგებული ასფალტის აყრა, მაგათაც იგივე მოუწევთ – გვიტონრა 18 ინჩის სიღრმე მაკვანეთში, ბაღების უბანში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ფენინი კონსტრუქციონერს“-ი. 2062 მეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სატენდერო თანხა 1 437 108 ლარს შეადგენს, რომლის 95 პროცენტს რეგონი იხდის, ხოლო 5 პროცენტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. აღნიშნულმა კომპანიამ შესარულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში (დაბლა ვანისქედი) – სოფელ ბასი-



ლეთის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (1178 გრძივი მეტრი; ღირებულება 375 000 ლარი). ორთავე მშენებლობაზე საპროექტო ორგანიზაცია შპს „პროექტა“.

– აგერ, ჩვენს უბანში, შატოულაში 5 წელზე მეტია დაგო ასფალტი ოზურგეთის სავაზომ (კვამშენი 18“). დღემდე არ გაქნებულა. ძალიან შეწუხებულები ვართ. მე პირადად ყელუვის ტერმინალზე ვეშაობ, 4 დღე ვარ ცვლაში და აქეთის დროს სახლში არ ვყოფილვარ, მაგრამ გული ყველას ვტყავა, რატომ მოხდა ასე ამობენ, ასფალტი ძალიან შორიდან – თერჯოლიდან მოიტანეს და დაგებამდე სავაზომ ტემპერატურა ვერ შეინარჩუნაო. არ ვიცი, არ ვარ სპეციალისტი, მაგრამ წვიმაში წყალი შუა გზაზე რომ მოდის, გზას იმ მხარეს, სადაც ხელოვნური სანაღვეურ არხები მოაწყვეს დახრა არ უნდა ჰქონდეს? – გვიტონრა **პატია გორდელაძე**.

– ძალიან შეწუხებული ვართ ნენა, არაა ავი კარგი საქმე. 70 ოჯახი ვცხოვრობთ ამ უბანში. როგორ ვეინაროდა ცალკე მშენებლებიც მეცოდება, რომ ამ დღემდე აღმოჩნდნენ – გვიტონრა 85 წლის **ცაილა გორდელაძე**. მაკვანეთელი **ნანა კლანდარიშვილი** ამბობს, რომ მშენებლობა არ დასრულდა.

– მშენებლებმა შეუცდეს კი დააგეს ასფალტი. მთ შორის მთი მუზობლად მცხოვრებ შალვა ღლონტსაც გაუკეთეს მისასვლელი, ალბათ მდინარე ავიდაყვანე გასული საუკუნის 60-იან წლებში აგებულ ხიდს გაუკეთებენ მოაკვირს. ნამდვილად არაა სასიამოვნო, რომ ასფალტი უკვე ამოტყდა – გვიტონრა მან.

იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი გულისტკივილი გაგვაცენეს, მაგრამ მათი ვინაობის დასახელებიდან თავი შეიკავეს.

ერთმა ფაქტმა მიქცია ყურადღება. გზაზე ამოტეხილები გზის შუა ადგილებშია.

– ვერ გეტყვით, ჰქონდა თუ არა ასფალტის დამცემს რაიმე ტექნიკური პრობლემა, ამას ექსპერტებს დაადასტურებს. პასუხისმგებლობას არ ვაფურცობთ და როგორც ასეთი დროს ხდება, დაზარალებულ ადგილებს კაპიტალურად შევაკეთებთ, სხვა სამუშაოებზეც დასასრულებელი. – გვიტონრა მშენებლობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **კახა გაგუამ**.

ჩვენ დაუკავშირდით ოზურგეთის მერის წარმომადგენელს სოფელ მაკვანეთში **გიორგი ბაბილოძეს**, რომელმაც გვიტონრა, რომ ექსპერტის დასკვნის მიღებამდე იგი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით შედიასთან კომენტარს არ გააკეთებს.

გაზეთი „ალიონი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასაც დაუკავშირდა. გვიტონრეს, რომ მუნიციპალიტეტი ექსპერტს მოიწვევს, დაგვირდნენ ოფიციალური კომენტარსაც მოგვეწოდნენ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით – 3,20 ლარი, სამი თვით – 9,60 ლარი, 6 თვით – 16 ლარი, ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

საკალანდო სარეკლამო ბაზარს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოვიძის ჩოხატაურის ბიუროს ხელმძღვანელ სოფო ჯინჭარაძესთან ერთად სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებს შეხვდა, კალანდა მიულოცა და საახალწლო ნობათები გადასცა.



სოციალურად უმჯობესი ოჯახები და ხანდაზმული მოქალაქეები მოინახულეს



ოზურგეთის მერის მოადგილემ, ნათია გოლიაძემ და გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა, ქეთი ვასაძემ, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად უმჯობესი ოჯახები და ხანდაზმული მოქალაქეები მოინახულეს. მათ ადგილობრივებს საახალწლო ნობათი გადასცეს და კალანდა მიულოცეს.

მოწყობილობის განვითარების ხელშეწყობისათვის



ასოციაცია „ანიკას“ ექსპერტი ვაჭერინა მიტინი ლანჩხუთის მერს ალექსანდრე სარიშვილს და პირველ მოადგილე ვაჭერინე გუგაბიძეს შეხვდა. ასოციაცია „ანიკას“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ორგანიზაცია „ოჯახი ქართან“ ერთად ასორციელებს ევროკავშირის დაფინანსებით პროექტს, რომლის მიზანია მოწყვლად პირთა განვითარების ხელშეწყობა. სტუმარმა ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაზე გამხსვილა ყურადღება. აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს ტრანსპორტირების ხარჯებს უნაზღაურებს, რამაც განაპირობა სერვისით სარგებლობის მსურველთა ოჯახების ჩართულობის გაზრდა. – ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, რასაც „ოჯახი ქართან“ ერთად ასოციაცია „ანიკას“ ასორციელებს. გაიზარდა მოსახლეობის ცნობადობა ამ კუთხით. ჩვენი ჩართულობით ტრანსპორტირების ხარჯები უფრო დაბალია ბენეფიციარებს, რომლებსაც ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხება აქვს. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო მათ სპეციალისტებთან ვიზიტს და მკურნალობის პროცესის დროულად დაწყებას – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 13 საკითხზე იმსჯელა



ალიონი. სხდომის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა. ბიურომ საკრებულოს დარბოზირი კომისიების 2024 წლის სატუმაო გეგმები დაამტკიცა. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით, აისახა შემდეგი განკარგულების პროექტი: მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 429 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ; ასევე, იმსჯელებენ მუნიციპალიტეტის ქონების საწესი საპრივატიზებო საფასურისა და ქონების საწესი საფასურის დადგენის თაობაზე“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიუროს გადაწყვეტილებით, შესაბამისი დარგობრივი კომისიები განიხილავს შემდეგ განკარგულების პროექტებს: „საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სატუმაო გეგმის დამტკიცების შესახებ“; მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე; მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; და მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027 წლები) დამტკიცების თაობაზე. აგრეთვე, იმსჯელებენ „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტზე.

პროექტის „ახალგაზრდული ბიზნეს-კლუბის გაძლიერება“ კრეშენტაცია გაიმართა



ლანჩხუთის ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში პროექტის „ახალგაზრდული ბიზნეს-კლუბის გაძლიერება“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც ქალების ბიზნეს საქმიანობის წამოწყებას ახლავს თან. კვლევის შედეგები კოლეჯ „პორიზონტის“ სტუდენტებმა წარადგინეს. პრეზენტაციის დასასრულს მოეწყო დისკუსია და მსჯელობა ფოკუს-ჯგუფის მიგნებების შესახებ. შეხვედრას გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი და საჯარო მოხელეები დაესწრნენ.

სოფელ ძიბითში 73 წლის მამაკაცი ჩამოხრჩვალა იპოვეს

ალიონი. 18 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბითში 73 წლის მამაკაცი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მამულებმა ჩამოხრჩვალა იპოვეს. – შემთხვევა დღეს მოხდა. 73 წლის ზ.მ-ს სახლიდან გასულს ექვბდნენ. იგი ხშირად დადიოდა ახლახან გარდაცვლილი დისშვილის საფლავზე. ამჯერად იგი დღის 2-3 საათისთვის საცხოვრებელი სახლიდან 3-4 კილომეტრის დაშორებით ძიბითი-აკეთის საზღვარზე, სტაღნარის დელის პირზე, ხეზე ნახეს თოკით ჩამოხრჩვალა. მის საპოვნელად დიდი ძალისხმევა გა-



ოიჩინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოზურგეთის მამულებმა – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა სოფელ ძიბითში ზურაბ მორჩილაძემ.

სოფელ უემოქმედში „კალანდა“ აღნიშნეს



ალიონი. კალანდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უემოქმედის ეთნოგრაფიულ სივრცეში, ყველა ძველი ტრადიციის დაცვითა და საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა!

მოეწყო ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა – გაყიდვა; ჩატარდა ტრადიციული საკალანდო რიტუალი – აგუნა, ჩიჩილაკის დამზადება და ჭურის მოხდა. გაიმართა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, თეატრალური პერფორმანსები; კულინარიული მასტერკლასი.

ღონისძიებას გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, უემოქმედელი მიტროპოლიტი მუჟეფი იოსები, მოწვეული სტუმრები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

მსენელის წინაშე ჯგუფ „Reggaeon“ წარსდგა.

ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

კალანდას გურიას ევროკავშირის 7 ელჩი სტუმრობდა



ალიონი. 13 იანვარს, კალანდის დღესასწაულის შესახვედრად გურიას ევროკავშირის შვიდი ქვეყნის ელჩი სტუმრობდა. ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უემოქმედში ეთნოგრაფიულ მუზეუმში „კალანდის“ დღესასწაულის რიტუალებს დაესწრნენ.

უცხო ქვეყნის ელჩებს ქ. ოზურგეთში, „გობრონიძეების მარანი – ღვინის სალონი“ უმასპინძლა.

მარანი ვაჟფარაძე: – კალანდას (14 იანვრის დღეს), ევროკავშირის 7 ქვეყნის ელჩს და მათ ოჯახებს უმასპინძლა ჩვენმა ტურისტულმა სივრცემ! სტუმრები გაეცნენ გურული კალანდის ტრადიციებს: ჩიჩილაკის ისტორიას, მეკვლეობის ტრადიციას, მიიღეს მონაწილეობა გურული ჯანჯუხისა და საშობაო ღვეზელის მასტერკლასში, მოისმინეს და ჩვენთან ერთად იმღერეს საშობაო „ალილო“, დაგემოვნეს საოჯახო ღვინოები და ტრადიციული გურული სამზარეულოს კერძები. მადლობა ძვირფას სტუმრებს და ბედნიერი მოღვაწეობა მთ 2024 წელს, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ! კალანდას ვილოცავთ! –

ღიზარებული დები სალუქმეხები „სამზარეულოს ომების“ გამარჯვებულები გახდნენ



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისაურიდან დები ეკა და ლანა სალუქმეხები კულინარიული შოუ „სამზარეულოს ომების“ მე-8 სეზონის გამარჯვებულები გახდნენ.

„სამზარეულოს ომების“ გამარჯვებულებს „ორთავალა გეთის“ საცხოვრებელი აპარტამენტი გადაეცათ.

ახალ მსოფლიო წესრიგში ქვეყნის სწორი პოზიციონირების გადაწყვეტი მიიღვეს - გაპლიმრებული ბიზნესი, მღვრადი ეკონომიკა და პოლიტიკური სტაბილურობა

2024 წლის პრესამპტივები - ზურაბ ჩხაიძე, KTW ჯგუფის პრეზიდენტი

2023 წლის 15 დეკემბერი - საქართველოს თანამედროვე ისტორიის ახალი ფურცელია! კანდიდატის სტატუსის მონიჭება ჩვენი ქვეყნის სისტემური განვითარებისა და პროგრესის აღიარებაა. ევროპის ბაზარზე საქართველოს მიმართ ნდობის მატება, ქართულ პროდუქტზე და ბიზნეს საქმიანობაზე მოთხოვნის გაზრდა - ჩვენი ქვეყნის რეალური პერსპექტივაა.

ევროინტეგრაცია – ეს არის გზა, რომელიც ევროკავშირის სტანდარტების იმგვარ დაკმაყოფილებას გულისხმობს, რაც შედეგად მოგვცემს ევროპული ხარისხის პროდუქტს, სერვისებს, შესაძლებლობებს. სწორედ აქ იკვეთება განათლებისა და ახალგაზრდა თაობის ნათელი, სწორი ხედვის მნიშვნელობა. ჩემთვის საამაფა, რომ წარმოვადგენ სრულად ქართულ ბიზნეს ჯგუფს, სადაც უამრავი ახალგაზრდა სწორედ ამ სულისკვეთებით გვერთდება, სწავლობს, მუშაობს, ვითარდება და ამით უწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას.

ქვეყნის განვითარება ეკონომიკურ აღმავლობასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული. ევროკავშირთან ეფექტური ურთიერთობით ამ შედეგების მიღება გაცილებით სწრაფად მიღწევადია. კაპიტილიზაცია, რომელსაც ევროპული პერსპექტივა გვისახავს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შეეხება, რაც ნიშნავს, ქვეყანაში რეალური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების გაზრდას, მიწის კაპიტალიზაციასა და ახალი ბიზნეს საქმიანობების გაჩენას.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 2023 წელს დადებითი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდა. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 8 000 დოლარს გადააჭარბებს - დაახლოებით ორჯერ მეტი გასულ წლებთან შედარებით. ეს ქვეყნის სწორი პოლიტიკისა და თანმიმდევრული ნაბიჯების შედეგია. ეს მიდგომა აუცილებლად, კიდევ უფრო მეტად, 2024 წელს აისახება ჩვენი ეკონომიკის თითოეულ მიმართულებაზე. ძლიერი ეკონომიკა კი, რეალური საზოგადოებრივი სიკეთის საფუძველია.

აუცილებლად ხაზგასასმელია, ბიძინა ივანიშვილის როლი და დამსახურება ამ პროგრესში. ის იყო პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ქმედითი ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში ეკონომიკის გაძლიერებისა და ბიზნესის განვითარებისთვის. დღეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, საქართველოს ურყევი განვითარების ხელშეწყობა დადასტურებაა. ახლა ჩვენი ქვეყნისთვის გარდამტეხი პერიოდი იწყება. გაიზარდა და კიდევ უფრო



რად. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 8 000 დოლარს გადააჭარბებს - დაახლოებით ორჯერ მეტი გასულ წლებთან შედარებით. ეს ქვეყნის სწორი პოლიტიკისა და თანმიმდევრული ნაბიჯების შედეგია. ეს მიდგომა აუცილებლად, კიდევ უფრო მეტად, 2024 წელს აისახება ჩვენი ეკონომიკის თითოეულ მიმართულებაზე. ძლიერი ეკონომიკა კი, რეალური საზოგადოებრივი სიკეთის საფუძველია.

აუცილებლად ხაზგასასმელია, ბიძინა ივანიშვილის როლი და დამსახურება ამ პროგრესში. ის იყო პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ქმედითი ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში ეკონომიკის გაძლიერებისა და ბიზნესის განვითარებისთვის. დღეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, საქართველოს ურყევი განვითარების ხელშეწყობა დადასტურებაა. ახლა ჩვენი ქვეყნისთვის გარდამტეხი პერიოდი იწყება. გაიზარდა და კიდევ უფრო

გაიზარდა სტანდარტები, რომლის შესრულება მხოლოდ მისი მმართველობითი უნარით იქნება მიღწევადი.

KTW ჯგუფმა 10 წლის წინ, ბიზნესის დივერსიფიკაციით, ჩვენი ქვეყნის რეგიონებში ახალი საწარმოების დაარსებითა და მოქალაქეების დასაქმებით საკმაოდ დიდი ინვესტიცია განახორციელა ქართულ ეკონომიკაში. მომდევნო წლების მანძილზე, ჩვენი კომპანია კვლავ იტყვის თავის სიტყვას ქვეყნის განვითარების გზაზე.

2024 წელი მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. ეს იქნება შესაძლებლობების და მათი რაციონალურად გამოყენების წელი. ამიტომ, ყველამ ერთად, ჩვენი წილი პასუხისმგებლობით, ახალი პერსპექტივები ახალ, ჩვენი ქვეყნისთვის პოზიტიურ რეალობად უნდა ვაქციოთ.

„ფასების ზრდა ჯერ წინ გველოდება“ - რა ალტერნატიული გზა არსებობს ჩინეთიდან ტვირთების ჩამოსატანად

წითელი ზღვის კრიზისის გამო, კონტეინერის ღირებულება გაიზარდა, თუმცა ადგილობრივ ბაზარზე ჩინეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ფასზე დაახლოებით თვენახევარში აისახება. ამის შესახებ „სოფმარის“ დამფუძნებელმა ვანტანგ ალიანამ „პალიტრანიუსის“ დარადიო „პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ ისაუბრა.

მისი თქმით, ახალი შეკვეთების ტრანსპორტირება უკვე განსხვავებული ფასით მოხდება, რაც პროდუქტსაც გააძვირებს.

რაც შეეხება ალტერნატიულ გზას, როგორც ვანტანგ ალიანამ აღნიშნა, შექმნილ ვითარებაში ბიზნესისთვის რკინიგზა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა.

„ფასების ზრდა ჯერ წინ გველოდება. დაახლოებით, თვე, თვენახევარი სჭირდება, რაც არის გზაში. ის ძველი ფასით არის დაჯავშნილი და ბუნებრივია, ახლი კონტეინერები რომ წამოვა, უკვე სხვა ფასით იქნება, რაც მოახდენს გავლენას შიდა ბაზარზე.“

არსებობს ალტერნატიული გზა, ეს არის რკინიგზა, ჩინეთიდან საქართველომდე. ეს გზა უკვე მუშაობს, ეს არის ჩვენი რკინიგზის დამსახურება, რომ ამის ორგანიზე-



ბას სათავეში ედგა. ეს გზა დღეს გახდა ალტერნატიული. წარმოიდგინეთ, რომ კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა რკინიგზა, ვიდრე ეს იყო პანდემიის დროს. იმის გამო, რომ აქ არა მარტო ფასი, არამედ დროც გაიზარდა, კრედიტი, ხარჯი ბიზნესს გაეზარდა მკვეთრად და რკინიგზა გახდა ძალიან მიმზიდველი. უკვე არის მოსაზრება, რომ რაღაც ნაწილი ტვირთის წამოვა რკინიგზით, – განაცხადა ვანტანგ

ალიანამ.

ცნობისთვის, მას შემდეგ, რაც იემენელი ჰუსიტები პალესტინელებთან სოლიდარობის გამო, კომერციულ გემებს თავს დროებით დაესხნენ, ჩინეთიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მიმართულებით გამოსული გემები იძულებულნი არიან, დანიშნულების ადგილამდე შემოვლითი გზით ჩავიდნენ.

ლაზარი ლომჯარიას ბახსენება



არიან ადამიანები, რომელთაც არ უყვართ ქება-დიდება, არ უყვართ თავისი საქმის გამოჩენა, თუმცა ცნობილ მომღერლებს არ ჩამოუვარდებიან. სწორედ ასეთ მომღერალთა რიცხვს მიეკუთვნება ძველი თაობის წარმომადგენელი **ლაზარე ლომჯარია**. პირადად მე და ფოლკლორის

ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ სურგულაძე დაინტერესდით ამ პიროვნებით და მოვიძიეთ საჭირო მასალები, რომელიც მოგვაცოცხლებს შვილიშვილმა ჭანიეთის საჯარო სკოლის პედაგოგმა მანონი ლომჯარიამ. მანონი ლომჯარიამ ისეთი მასალები მოგვაცოცხლა, რომელიც უფრო

ფართო ასპარეზს მოითხოვს, რაზედაც უფრო კომპენტენტური პიროვნებები იზრუნებენ, მე კი მხოლოდ მის ბიოგრაფიას შევეხები.

ლაზარე ესეს ძე ლომჯარია დაიბადა 1891 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანიეთში. მამა – ესე ლომჯარია გლეხი კაცი იყო. დედა – ნინო ერქომაიშვილი, საგარეულოდ მომღერალი გვარის წარმომადგენელი და შესაძლოა სიმღერის ნიჭი მან შთაუბერგა შვილს, რომელიც შემდგომ საუკეთესო მომღერალი გახდა.

მის მომღერლად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მგალობელს, მომღერალს, ლიხაურის ეკლესიის მღვდელს **ნესტორ კონტრიაძეს**.

გამოჩენილი მომღერალი **მიხეილ შაიშვილი** იგონებს: – თუ რაიმე ძველი სიმღერები ვიცი, ეს ლაზარესგან გამოვინია და მას ვუძღვლი ყველაფერს.

მინდა გავიხსენო ერთი ალეგორი, რომელიც ჭანიეთში გაიმართა, სადაც მოწვეული იყო ცნობილი მომღერალი ვლადიმერ ერქომაიშვილი. როცა მან ჩემს ნამღერ „ჩვენ შვილიძობას“ მოუსმინა, მოიწონა და მკითხა, კიდევ თუ

იცი ბიბია რამე. მე ჩამოვუთავალე რაც ვიცოდი: „ყარანა“, „მანანა“, „შვიდაცა“, „მწვანესა და უქულოზე“. იქვე მყოფ ლაზარე ლომჯარიას უკითხავს, – სად ისწავლე ეს სიმღერები ბიბია შენო. მე ვუპასუხე: – ლაზარე ბიბია, შენ რომ სხვებს ასწავლიდი, ამ სიმღერებს მე ვარედი ვისმენდი და ისე ვისწავლე. ლაზარე მიუბრუნდა მამჩემს და ხუმრობით უთხრა: – ვრიგოლ, შენ ჩემი ათი ფუთი სიმინდი გქონია ვალიო. მაშინ ასე ღირდა სიმღერის შესწავლა.

ჩვენ დაინტერესდით და მანონის ვკითხეთ: – ხომ არ არსებობს რაიმე ჩანაწერი ლაზარეს ნამღერი. მანონიმ გვიპასუხა: – მე პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს ერთი პიროვნება იყო მოსული, რომელსაც ორი ახალგაზრდა ახლდა და სთხოვეს ლაზარეს ჩაკვარინე რამეო, მაგრამ ლაზარე უარზე იყო. მაგრამ მგონი ბოლოს დაითანხმეს და რაღაცა ჩაიწერეს, მაგრამ მე ვერსად ვერ ვნახე იგი ლენტაო. ავთანდილ სურგულაძე დაუკავშირდა ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენელს, ასეთი საქმის კარგად მცოდნეს და მკვლევარს სანდრო

ნათაძეს და სანდრომ გადმოვიკვირებინა ძველი ჩანაწერი, ჭანიეთელი მომღერლების ჩანაწერი, მაგრამ არ არის მითითებული ვინ რომელ ხმას მღერის. მანონიმ გვითხრა, ბაბუაჩემი კრემ-ანჭულსაც მღეროდა. შეიძლება იმ სიმღერებში ლაზარეს კრიმანჭული იყოს.

ასე თუ ისე, ამ კაცზე ცოტა რამ მოვიძიეთ და კიდევ უფრო ვრცლად მივაწვდიე ჩვენს მსმენელებს შემდგომში.

ლაზარე ლომჯარიას შვილთა შვილი – დემეტრე ჩენი ცენტრის აღზრდილია, რომელიც გამოირჩეოდა უაღრესად დიდი ნიჭით და გურული სიმღერების ღრმა ცოდნით. იგი ახლა უცხოეთში მოღვაწეობს.


ლაზარე ლომჯარია 1978 წლის დეკემბერში გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე სამგლოვიარო სიმღერა უთქვამთ: **ტელე იობიშვილს, გლეგან მჟავანაძეს და ფენია შაიშვილს** – გვითხრა ქალბატონმა მანონიმ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ეს წარმოსადგევი ადამიანი. **ტრისტან სისარულიძე**, ხელოვნების ქურუმი

ახალი ჟიბნები

გურიის ახალი დიდგორი

ალიხანოვი გურიაში



რეცენზიის მამიარ

ქალბატონი **მანანა ლომჯარი** ოზურგეთის საისტორიო მუზეუმის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. მან წარმატებით დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მას შემდეგ, შუა გურიის ამ მთავარ საისტორიო სამეცნიერო ცენტრში იღვწის. ოთხ ათწლეულზე მეტია, რაც ის გულმოდგინედ ეწევა შუა გურიის ისტორიის შესწავლას და ხალხში ამ ცოდნის გატანისათვის შესაფერად მუშაობს.

ჩვენი ურთიერთგაცნობის შემდეგ, ძიება უფრო სერიოზული და ექსპლუატაციული გახდა. კარგი იქნებოდა ქალბატონ მანანას სადოქტორო პეტიციისაზე ვეფერებო, მაგრამ, მიზეზთა მრავალთა გამო, ჩვენი მღვდელი ამ უდიდეს საქმეს თავს არიდებს.

ჩვენი მითითებით, მან დიდი შრომა გასწია ოზურგეთის საისტორიო გეოგრაფიის კუთხით შესწავლაზე, რაც ასე საშური გახლდათ. შემდეგ მან ყურადღება მიაპყრო **„გურიის ახალ დიდგორს“**, რომელიც უდიდესმა ქართველმა, მსოფლიო სახელის ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა **ნიკოლოზ ბერძენიშვილმა** ამოიცნო გასული საუკუნის ათიან წლებში. სამწუხაროდ, ამ აღმოჩენამ ვერ პოვა ის დანტერესება, რაც მას ერგებოდა. ამის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით ის გახლავთ, რომ ნასაკრალის 1905 წლის დიდი ეპოპეა ნ. ბერძენიშვილმა მხოლოდ რეოლოგიური აქტად მიიჩნია და ქვეყანასაც მისი ახლებური გააზრების გულთან მტანა გაუხელდა.

მას შემდეგ, რაც ჩვენში რეოლოგიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ნასაკრალის მეპირალი, რომელიც ამჟინება ოზურგეთის ჩრდილო აღმოსავლეთ

მისაღობებს, მიწასთანაც კი გაასწორეს, ასეთი ვანდალიზმი არ შეგვერებოდა საქართველოს ისეთ მოწინავე მხარეს, როგორც გურია გახლავთ. მოგვიანებით ზოგმა იგრძნო ეს სავე და მიიჩნია მისი აღდგენა, თუმცა სასურველ დონეზე ამ კეთილი საქმის მიყვანას ვერ კიდევ დიდი ძალისხმევა სჭირდება. აღსადგენია მისი შესანიშნავი მუზეუმი და ბერი სხვა რამეცა გასაკეთებელი.

შედა ქართლის დიდგორი მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვება გახლდათ, რასაც დიდი გულისცურვით ეკიდება სამყაროს დასავლეთი. ამის დანახვა არც ისე ძნელია, მაგრამ რატომღაც დიდძალ მანც ვერ არის ეს დიდი საისტორიო ბრძოლა ისე გათვითცნობიერებული, რომ აქტიური მოქმედების საფუძველს იძლეოდეს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ დასავლეთის მეცნიერებმა კვლავ გაიხსენეს დიდგორი და მეფე დავითის თვალმოწვევითი ძლევაც.

საინტერესოა, რომ დავითის გენალური მემკვიდრე დიდ ქართველ მეფეს ძველი მსოფლიოს უდიდეს მხედარმთავარს ალექსანდრე მაკედონელს ადარებს და მასზე წინაც აყენებს. ეს დიდი ხანია იცოდნენ დასავლეთში, მაგრამ მხოლოდ ეს ეს არის, ეს აზრი მთელ მსოფლიოს გასაგონად აღიარეს და დავით მეფესაც თავისი ღირსეული ადგილი მიანიჭეს, რაც ვგზობ დიდი წარმატება დაუეწიყარი ქართველი მეფისა და მხედარმთავრისა.

„ახალი დიდგორის“ (ნასაკრალის) ბრძოლის წინამძღოლი, გურიის კომიტეტის თავმჯდომარე **ბენიამინ ჩხეიძე-შვილი** ვერჯერობით ისტორიის ჩრდილშია, თუმცა, მას შემდეგ, რაც ნასაკრალის ეპოპეა „ახალი დიდგორის“ ძალის აღმოჩენა, უკვდავი ბენია ჩხეიძე-შვილის (თბილისის მერი, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის კომისარი) სახელი თანდათან ამალდებდა და იმ სიმაღლეს მიაღწევს, რაც „ახალი დიდგორის“ შემოქმედს ეკადრება.

ასე რომ, „ახალ დიდგორთან“ შებამ არც თუ ისე ადვილი საქმა, თუმცა, გამოკვლევა იმ სიმაღლისა, რომ უნდა დაბეჭდოს.

იური სისარულიძე,

პროფესორი, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატოო რეპტორი, აკად. ივანე ჯავახიშვილისა და გაყა-ფემე-ელას პრემიების ლაურეატი და საქართველოს აქციის პიონერი, 30 ივლისი, 2018 წელი.

10 მარტს ალიხანოვის დამსჯელი რაზმი შევიდა ოზურგეთში და დაიწყო ოზურგეთის მაზრის გლეხობის „დამწვლად“ მთარხნისა და ტყვეობით, დამსჯელი ნაწილების ველურ თარეშს საზღვარი არ ჰქონდა, აწიოდა მთელი მაზრა, განმარდა დაპატიმრებანი, მაზრის და ვეპერნიის ციხეები აივსო პატიმარი გლეხებით. გურიაში ალიხანოვი-ავარსკის ქმედებების გამო უჩრდილო **„მოგზაური“** ოქსეზობდა. „გერჯალ ალიხანოვი-ავარსკის განკარგულებით ქ. ოზურგეთში შემდეგი განცხადება გაუკრავთ: „განცხადება ქ. ოზურგეთის მცხოვრებთ, 10 მარტი 1905 წ.“

ქ. ოზურგეთში მოსული და დამანებული ვარის უფროსი ალექს წინადადებს ქ. ოზურგეთის და მისი მაზრის მცხოვრებთ, რომ ყოველდღე კანონური წესრიგი იყოს დაცული. თავიანთი საქმეების შესახებ მიმართონ სასამართლოებს და შესარულით ყოველივე მათი კანონური მოთხოვნა, ვინც ამას არ შესრულებს, იქნება სასტიკად დასჯილი“ (ეურხალი „მოგზაური“, №10, 1905 წ. გვ. 140).

იმეე ნომერში არის ცნობა, რომ „12 მარტს 100 პლასტუნი და 100 ყანხი რუსი ბარე-ბარხანთა ვეფეზურა ჩოხ-ატურში, თან გაჭედა გერჯალ ალიხანოვი-ავარსკი აძლიო. ერთი კვირა გურიაში ყველან დაეკატა სამრელო სკოლები, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლა არ დაწყებულა. ახლად დამანებული ოთხთასზე მეტი“ (იქვე, გვ. 140). გურიის სოფლების დაწილების ფაქტები აღწერილია „მოგზაურის“ ფურცლებზე ასე მაგალითად: „სოფ. ხვარბეთი. 25 მარტს ჩვენს სოფელს ყაზახ-რუსებმა ალაყ შემოარტყეს. სოფლიდან გამოხდის ნებას არავის აძლიდნენ. რამდენიმე მოსახლე კაცი განჩიკეს და ბერი დაიჭირეს დაიჭირეს **შერმან ვიბრინიძე**, რომელსაც რეოლოგი და „ბერძენა“ უნახეს, ორივე არაა, რა თქმა უნდა, წარათვის, მორე დღეს **გიორგი მარგალიტაძე** დაიჭირეს, დაიჭირეს ასევე **არსენ კვცამიძე**, რომელსაც ოზურგეთში აყადმოყუო მაჰყუდა ექიმან. დაიჭირეს აგრეთვე ერთი ყმწველი **ალექსი ვიბრინიძე** და იჭირეს, ამს უსათუოდ გათქვენებთ, ვინ არის ბუნებისათვის, მაგრამ ვერაინ დაუსხვლა. ამთ ვარდა, ბერი განჩიკეს ჩვენ სოფელში, მარა დაჭირით არავინ დაუჭირათ. 26 მარტს ძლით მოხდეს მურვანძის ღვინთ სვეტ ჭური, თუმანოუს ავთიკარს, პროფიზორს ფინა ძღელი, უკანასკნელმა ასეთი „უაზრო“ საფერისათვის ერთი კვირთ ციხეში ვდობ



1906 г. Один из кварталов г. Озургети, разрушенный карательными войсками ген. Алиханова. (ЦГАКФЭД ГрССР. Репродукция из подлинника).

მოუსვია... ერთი აქტიური გლეხის, ოზურგეთის ბაზარზე მიმავლის, კახაკს მისეა მხოლოდ პატრონა, „ბერძენა“ ვეჩენს და მიიხმარეო. მანც გამოართვა ბოლოს ადარ მოყრნა ასეთი საქციელი და ნაჩუქარი პატრონი შირს გადაყარა არ გასულა ათიდე წუთი, რომ იფიქრა კახაკი და ოთხი მისი ამხანაგი ვადლევა. განჩიკეს გლეხი იმ იმედი, რომ ნაჩუქარ პატრონებს ვიპოვით და რაიმე სარგებლობა შეიძლება ენახოთ, მარა ნახე მათ გაკვირვებას, როცა გლეხს ადარ აღმოჩნდა. ეს ჩვენზე უფროს-ქელი ყოფილა – ჩაღალაბაკეს ყაზახ-რუსებმა და გაბრუნდნენ“ (ეურხალი „მოგზაური“ 14, 1905 წ.). „სოფელ დეგაზუში, აღნიშნავს იმეე ნომერი უჩრდილო „მოგზაურის“, – ყაზახი რუსები დაეცნენ მე-უჩენებს, ორი რეოლოგი და ორი ბოთლი არავი წარათვის, ერთი მავრის თუთუნანი ქის წარათვის, ღვინთ ტიკეში კი ხანჯალი უკრეს და ღვინო დაუღვარეს. ერთი სიტყვით, ასეთი ფაქტებით სვეტა გურიის დღევანდელი ცხოვრება. ხალხი, რომლის დამშვლდასაც ალიხანოვი თავის რეპრესოლო ზოშებით აღწევს, დღეს ასეთ უსამართლობას ითმენს, როგორ შეიძლება კახაკების ასეთი თავაშუქული საქციელი ვარის მთავარ-სარდალმა არ ეცოდეს, მარა უწყველად ითითაც თანაუგებობს მოქმედებას. გურულებს თავისი კეთილგონიერება მრავალ საქმეში დამტკიცეს, მარა გურიის ცხოვრება იმსაც მიწმობს, რომ ამ ხალხს დაუსრულებელი მოთმნება არ აქვს... მამეე აზრს იხიარეს „მოგზაურის“ 13 ნომერში გამოქვეყნებული კორესპოდენცია დაბა ნაგოდინთან. „27 მარტს ჩვენს დაბასც ესტუმრნენ ყაზახ-რუსები და გერჯალ **ფარსის** ბრძანებით, დაუსწესეს ჩხრეკა დეჩენება და სახლებს, ევინთ ბეგის რამეს აღმოჩენდნენ, მაგრამ მოტყუდნენ ვერაფერი აკრძალული ვერ იპოვეს. ეს იყო სადამოხანს იმ დამეს აქვე დარჩნენ. მხოლოდ ამ

დროს დატრიალდნენ მცველი კახაკები, დაიჭირნენ სოფლებს, ვის ვერცხლის ქამარი მოსტყვეს და ვის საათი, წარმოიღებნენ, ვერცხესაც კი ეტყვიდნენ სახლებთან, ეს ამბავი, თუმცა იმთ უფროსებს აცნობეს დამკარგავებმა, მაგრამ იმთვინ რა სამართალს გამოიჭანდნენ“ (ეურხალი „მოგზაური“, №14, 1905, გვ. 147).

ოზურგეთში ალიხანოვის რაზმის შესვლამ და მისმა ქმედებებმა საპროტესტო მოქმედება გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს და ამერკავასიის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა საპროტესტო მოტინგები და კრებები. ხალხი დაინებით მოითხოვდა ვარის გყვანას გურიიდან. ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეცნობილი თუ რა განსაცდელის წინაშე დედა გურია, ამიტომ რეოლოგიური გურიის გადასარჩენად სასწრაფოდ შეკრება საქართველოს საუკეთესო შვილები. კრებამ, რომელიც ამ საკითხს მიეხდნა, **ილია ჭავჭავაძის** წინადადებით, აირჩია წარმომადგენლები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა წარსდგომოდნენ მეფისნაცვალს და მტკიცედ მოეთხოვათ ალიხანოვის უკან გაწვევა. ამ კანონიერი მოთხოვნის შეუწყნარებლობის შემთხვევაში, **ჩვენ ყველამ უნდა ავფეთო, ავისათ იარაღი და გურულებთან ერთად გაწვევო, ჩვენი ძელებიც იმითან უნდა ჩაყვართო**, – დასძენდა დიდი ილია“ (ი. სისარულიძე, „რეოლოგიური გურიის დიდი ქმეგი“ ვახ. „ლიხინის დროში“ №106, 11 ნომერი 1962 წ.) პროტესტმა გასწვრა, ალიხანოვი შეაჩერეს. თავის მხრივ, ფიცხი გურულები დიდ წინდახედულებას იჩენდნენ. ამის შესახებ უჩრდილო „მოგზაური“ აღნიშნავდა: გურულმა ხალხმა, რომელიც ცნობილია, როგორც გულგვიცხი, გამოიჩინა სამაგალითო მოთმნება. მათ ერთხელაც არ უცდათ რაიმეზე ძალიმძობობით ეპასუხათ. 1905 წლის ივლისში ალიხანოვი გურიიდან გაიწვეეს.

ილია, "ივერია" და ცოტა რამ სასახლელოდ



დედაჩემს ვერაფერს გამოაპარებ, დღეს გურიაში გამოგზავრებამდე მივინახულა, გულთაძი მისაღებების, ჩახუტების და ლოყაზე კოცნის შემდგომ, მეუბნება:

გო, მართლა ასეა, თუ მეჩვენება, რაღაც-რაღაცეებს იმეორებ წერილებშიო. ასეა, — ვუბნები მე. — არ გამოდის სხვაანაირად. დამოუკიდებელ წერილებს ვწერ და ზოგჯერ თხორობის ლოგიკა ასე ითხოვს. არ მიყვარს, მკითხველის ამ ნომრიდან, იმ ნომერში გადამისამართება.

შენი, შენ იცი! — მოთხრა და სამზარეულოსკენ წავიდა. არ ვიცი, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, იგივე რომც გავიმეორო, მეგრე რა, უკვე წაკითხული გამოტოვებ და სხვა აბზაციდან დაიწყებ. განა ცოტა ნაცნობ ისტორიებს გახსენებთ ლამის ორი წელია?!

დღეს, კალანდის დადგომამდე, ახალი თემა მინდა შემოგთავაზოთ, მთლად გურულებზე კი არაა, მაგრამ რამდენიმეს ისევ შევხვდებით, გავიხსენებთ და სათანადო პატივს მივაგებთ.

ილია და ახალი წელი

ილიას პირველი ახალი წელი, ისტორიამ რომ შემოგვინახა, 1874 წლის 1 იანვრით ვიწყებთ, რადგან სწორედ ამ დროს ასრულებენ ილია და ვანო მანაბელი „მეფე ლირის“ თარგმანს. ჩვენ ეს ამბავი საიდან ვიცით? ამას სულ ცოტა ხანში გავახსენებთ, იქამდე 1859 წლის ზაფხული გავიხსენოთ:

ჯერ კიდევ, 1859 წლის ზაფხულა. ილია თბილისის გიმნაზიის დარბაზში დგამს ცოცხალ სურათებს „ძველი აღთქმიდან“ და „მეფე ლირიდან“. მონაწილეობენ: მისი და ელისაბედი, ნათესავი ნიკო ჭავჭავაძე, ელენე ანდრონიკაშვილი-ჩლოყაშვილისა, გიორგი XII-ის შვილიშვილი — ვერა ბაგრატიონ-გურუნიანისა-სვიატოპოლ-მირსკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი სოფიო და ვაჟი დავითი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის — ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინის ქალიშვილები, გაბრიელ სულხანიშვილი და სხვები. მეფე ლირის როლს თვითონ კითხულობს. წარმოდგენის შემდეგ იღებენ ერთობლივ ფოტოს.

გაივლის კიდევ 14 წელი და 36 წლის ილია (1873 ოქტომბრამდე) პეტერბურგში ეცნობა უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ ივანე მანაბელს და მასთან ერთად იწყებს შექსპირის „მეფე ლირის“ ქართულად თარგმანს.

რაც მთავარია, მოტივირებული ილია იწყებს ინგლისური ენის სწავლას და მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ უკვე დასმულ კითხვას: ილიამ მონიშნა და ვერ შეძლო?!

ეჭვიც არ მქარაბა.

დედაჩემის პასუხია: შეძლო!

მამ ასე! — მეფე ლირი „თარგმნილია“!

„მატიანის“ კალენდრით 1874 წლის 1 ნოემბერს და იგივე კალენდრით უკვე 1875 წლის 1 იანვარს, გაზეთი „დროება“ წერილით „რედაქციისაგან“ მკითხველებს აცნობებს, რომ ილია ჭავჭავაძე გაზეთს შეპირდა თავისი ახალი ნაწარმოების გადაცემას დასაბეჭდად.

ეს თარიღი კიდევ ორი რამითაა მნიშვნელოვანი, დროა, „დროების“ 1875 წლის 1 იანვრის პირველი ნომრის, მეორე გვერდზე „ჩამოვსქროლო“ და ეს ორივე ამბავი სწორედ იქედან მოვყვე.

დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ თფილისის გუბერნიის თავად-ახნაურობის საადგილამბულო ბანკი ამთვის ათს ან ხუთმეტს გაიხსნება და დაიწყებს მოქმედებას.

ამ დროსთვის მოვილიან აგრეთვე პეტერბურგიდან ამ ბანკის მმართველის თ. ი. ჭავჭავაძის დაბრუნებას, რომელსაც, როგორც ისმის, კარგათ გაურიგებია საქმე შესახებ გიაროს ფურცლების გასაღებისა.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, გამოვაცხადოთ, რომ ყოველ-გვარი განცხადება თფილისის გუბერნიის საადგილ-მამულ ბანკისა, და იმედია აგრეთვე ქუთაისისა, როცა დაარსდება, „დროებაში“, ქართულს ენაზე, დაიბეჭდება. თფილისის ბანკის წესდებაში პირ-და-პირი მუხლია, რომლის ძალითაც ამ ბანკის განცხადებანი ორს რუსულს ოფიციალურ გაზეთში — „მმართველობის მოამბეში“, და „კავკაზში“ და ამას გარდა ქართულს გაზეთს „დროებაში“ უნდა იბეჭდებოდნენ.

„დროების“ ამ ნომერში „დროებისე“ კორესპონდენციაცაა, რომელიც უშუალოდ გურულებს კი გვეხება, მაგრამ მიზეზთა გამო, აქ მხოლოდ დასაწყისს მოვიტან, არ მინდა საახალწლო განწყობა გავუფუჭო ჩემ გურულებს და რა თქმა უნდა, არც საკუთარ თავს.

„მოგესხენებათ, გურულები ზღვის პირად, ცხოვრებენ, და რადგან ჯერ ბუნებას არ დაუკარგავს თავის ზედ მოქმედება კაცზედ, მგონი, ამის გამო გურულებიც ისეთი მღელვარე ხალხი უნდა იყოს“.

ახლა კი, ის 1 იანვარი მინდა ვახსენო, ისტორიაში სამუდამოდ რომ უნდა დარჩენილიყო წესითა და კანონით, მაგრამ, ვიდრე ამ „მაგრამს“ გავაგრძელებ, სულ სხვა თარიღი, არა, უკაცრავად, რამდენიმე თარიღი უნდა გავიხსენო.

1876 წლის 18 ივნისია, ილიას „თხოვნა შეაქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. განცხადებას თან ერთვის გაზეთის პროგრამა“.

მოვა დრო და გაზეთ „ალიონის“ მკითხველებს აუცილებლად გავახსენებ „ივერიის“ ზოგიერთ ავტორსა და კორესპონდენტებს, თუმცა მანამდე დიდი დროა, ჯერ ჩემი მონაწილეობით „მეცხრამეტე საუკუნის ქართული პერიოდიკის“ გაციფრულების საქმე უნდა მიადწიოს სათანადო დონეს. ვფიქრობ, კარგად დავიწყებთ და თუ რომელიმე ჩემიანს ეჭვი ეპარება „ივერიის“ ბიბლიოთეკის ნ. მამარდაშვილის ციფრულ ბიბლიოთეკას“ მიაკითხო. ამასთან, წინასწარ უნდა მენდოს, ავიღოთ მიაკვლევს შესაბამის კოლექციას და „დატყუება მთელი მისი სიმშვენიერით“!

ახლა კი, დროა, დაპირებულ თარიღთან კიდევ ერთი გავიხსენოთ. „მატიანეს“ კალენდრით 1876 წლის 19 ივნისი, ანუ თხოვნის შეტანიდან ერთ დღეში, „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“ შუამდგომლობს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს წინაშე 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად.

შესაშური ოპერატიულობა! ასეა და რომ არ აღმენიშნა ვერაფრის დიდებით ვერ ვიზამდი!

გაივლის სულ რამდენიმე თვე და 1876 წლის 17 სექტემბერს (სხვათაშორის, ცნობილი გურულის, ოლონდ ახალი სტილით, სესილია თაყაიშვილის დაბადების დღეა) და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო აძლევს 1877 წლის 1 იანვრიდან გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნებართვას, იმავე დღეს, „გაზეთ „დროების“ რუბრიკაში „დღიური“ იბეჭდება ინფორმაცია მომდევნო წლის 1 იანვრიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ახალი, ყოველგვარი გაზეთის გამოსვლის განზრახვის შესახებ“.

იმავე წლის 19 ნოემბერი, „გაზეთი „დროება“ ეხმიანება „კავკაზის“ განცხადებას „ივერიაზე“ ხელმოწერის დაგვიანებასთან დაკავშირებით. წერს, რომ ეს გაზეთი მომდევნო წლის მარტიდან აუცილებლად გამოვა და ხელმოწერის საწარმოებლად ბლანკები უკვე დაბეჭდილია.“

აი, ახლა, კალანდობის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე, დედაჩემი აქ რომ იყოს, ვკითხვდი: „დედა, იცი, რატომ ვყვები ასე და ამდენს?!“.

მე არ ვიცი, რას მიპასუხებდა დედა, არც ის ვიცი რას მიპასუხებთ თქვენ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რას ვპასუხობ ამ კითხვაზე მე. „ყველაზე მნიშვნელოვანი იდეებიც კი, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა“, გინდა ილია იყავი და გინდა — გიო!

ასეა, ხშირად აღამიანები, მართლაც რომ გარემოების ტყვეები ვართ და მისგან დაღწევის სურვილებით, ნიჭით, უნარებით და შესაძლებლობებით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან.

7 იანვარი: „ცენზურა ნებას რთავს, გამოაქვეყნოს განცხადება გაზეთ „ივერიის“ გამოსვლის შესახებ“.

ამასობაში, 1880 წლის 1 იანვარია, ილია „გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს შინაურ მიმოხილვას, სათაურით „ვისს ნათესა ვკით?“: იქვე მისი და სერგეი მესხის ხელმოწერით იბეჭდება განცხადება გაზეთ „დროების“ და ჟურნალ „ივერიის“ ერთობლივი გამოცემის შესახებ და აკავს წერეთლის საახალწლო ლექსი: „მესტვირული“, რომელშიც ერთი სტროფი ილიას ეძღვნება:

აწ ახლებზედ გადავიდეთ, ვახსენებთ ჩვენი ილია...

იმისი გემო ხომ ვნახეთ ცოტა მოძველო ხილია! —

ქვეყნის ერთ-გული, გულ-წრფელი, კარგი მამულის-შვილია

გულშია და მეტად გულადა, სიტყვით კი ცოტა ფრთხილია!

მე ვფიქრობ ეს მისგან არის, რომ დარბაისლათ ზრდილია.

ცოტა უდროით გასუქდა და ბედით კმაყოფილია

და არას აწყენს ხან — და — ხან, რომ მას დაუფუფხვოთ ძილია!

პიიპუ! პიიპუ! პიიპუ! პიიპუუ! —

აი, აქ, აკაკის „სახალწლო ლექსის“ ამ სტროფზე გამახსენდა ილიას „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, რომელსაც აუცილებლად დაუბრუნებდები, თუმცა, მანამდე, ბარემ ისიც ვთქვათ: ამავე წლის პირველსავე დღეს ილია „სხვებთან ერთად ხელს აწერს ქმწ-კგ საზოგადოების 1879 წლის ანგარიშს“.

მოვა დრო და მე აუცილებლად გადავფურცლავ საქართველოს ეროვნული არქივში (ფ. 481, აღწ. 1,) შესაბამის საქმეს (№ 28, ფ. 9.), მაგრამ ჯერ ადრეა.

„მატიანეს“ კალენდრით 1881 წლის 1 იანვარია, გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე ხელმოწერულად აქვეყნებს სტატიას „სახალწლო მილოცვა“ („ყველა, ვისაც კი...“). ტექსტი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხოვნებთან ოცტომეულში“. აი, ეს მილოცვა:

ყველა, ვისაც კი ეს ფურცელი ჩაუვარდება დღეს ხელში, ყველა განხარებული იქნება, ყველას სადღესასწაულო სახე ექნება და სადღესასწაულო ტანისამოსი ეცმება, ყველა პირველ დანახვაზედვე მოელის შენგან უთხრა:

— მომილოცავს ახალწელიწადი! ღმერთმა მრავალ ამ დღეს დავასწროთ მშვიდობით და ბედნიერად!

ამგვარსავე მილოცვას მოელის ყოველი ჩვენი მკითხველი თავის გაზეთისგანაც, რომელიც ისეთივე მოსაუბრე მეგობარია, თუ უფრო მეტი არა, მკითხველისათვის, როგორც საზოგადოთ კაცი კაცის მეგობარი იქნება.

ჩვენც არ დავიშურებთ საერთოდ ყველა ჩვენის მკითხველისათვის ამგვარ მილოცვას. ბრწყინვალე და ჩინებული დღეა დღეს, არავის არ გვინდა ვაწყენინოთ და ამიტომ ყველას ერთობით გეტყვით:

— მოველოცავს დღევანდელი დღე! მრავალ ჟამიერ იყოს თქვენი ბედნიერად ცხოვრება!

მაგრამ... უ-მაგრამოთ ხომ ჩვენ, მწერლებს, სიტყვის თქმა არ შეგვიძლია... მაგრამ ეს დღევანდელია და ბედნიერი ცხოვრება ღმერთმა ყველაზე უფრო მომეტებულად იმას მიანიჭოს, ვინც დღეს, ხვალ, მთელის წლის, მთელის თავის სიცოცხლის განმავლობაში მართლ თავის კუჭის-ათვის არ ზრუნავს,

დღიური

★ ჩვენ შევიტყუეთ, რომ თფილისის გუბერნიის თავად-ახნაურობის საადგილამბულო ბანკი ამთვის ათს ან ხუთმეტს გაიხსნება და დაიწყებს მოქმედებას.

ამ დროსთვის მოვილიან აგრეთვე პეტერბურგიდან ამ ბანკის მმართველის თ. ი. ჭავჭავაძის დაბრუნებას, რომელსაც, როგორც ისმის, კარგათ გაურიგებია საქმე შესახებ გიაროს ფურცლების გასაღებისა.

ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, გამოვაცხადოთ, რომ ყოველ-გვარი განცხადება თფილისის საადგილამბულო ბანკისა, და იმედია აგრეთვე ქუთაისისა, როცა დაარსდება, „დროებაში“, ქართულს ენაზე, დაიბეჭდება. თფილისის ბანკის წესდებაში პირ-და-პირი მუხლია, რომლის ძალითაც ამ ბანკის განცხადებანი ორს რუსულს ოფიციალურ გაზეთში — „მმართველობის მოამბეში“, და „კავკაზში“ და ამას გარდა ქართულს გაზეთს „დროებაში“ უნდა იბეჭდებოდნენ.

ვისაც ყოველ-თვის და მუდამ თავის დაჩაგრული მოძმე და ქვეყანა ახსოვს და ამის კეთილდღეობისათვის იღწვის... ჩვენი ახლანდელი ცხოვრება ისეა მომართული, რომ ამგვარი ხალხი თითქმის ყველასაგან დევნულია, ესენი ათასში ერთხელ თუ იგებენ ცხოვრების სიტკობებს, უნაკულლო სიცოცხლეს, დიდები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ქვეყნის ძალა და უფლება, ამთ სდევნიან და თვითონ ესენი კი მხოლოდ იმაში პოულობენ ნუგეშსა, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ქვეყანა იცნობს იმათ და შრომისაგან დაბეგრებულს ხელს გაუწყდენენ მაღლობის გადასახდელად... ეს ზნობითი კმაყოფილება ყველა სხვა კმაყოფილებაზე უფრო სანატრელი კმაყოფილებაა და ყველა სხვა ნუგეშზე უფრო სასურველი ნუგეში...

აი ამთ, ამგვარ კაცურ-კაცთ ეჭირება ჩვენებით და ყველასგან მოლოცვაც და დალოცვაც; ამთი დღევანდლობა, მხნეობა და ერთხელვე არჩეულს ვზახედ მაგრად დადგომა უნდა ვინატროთ ჩვენ.

თორემ, ვინც ბედისაგან უძის-ოთაც დაჯილდოებულია, ვისაც მძლარი კუჭი აქვს და უდარდელი გული, ვინც ქვეყნისა და ხალხისთვის იმდენს ზრუნავს, რამდენსაც მე ეხლა მარშანდელ თოვლისათვის, ამთ რაღა ბედნიერება ეჭირებათ? თავის აზრით, თავის გუნებაში ესენი ახლაც ბედნიერები და კმაყოფილნი არიან, რადგან განგებას ამათთვის საეხე სუფრა დაუშზადება და, გარდა სუფრისა, ესენიც სხვაზე არაფერზე არა ზრუნავენ...

მაგრამ გავიხსენოთ, რომ დღეს ახალწელიწადია და დრო არ არის ამგვარ საგნებზე ლაპარაკისა და ქადაგებისა.

დღეს ყველას მხოლოდ „შეება-ლხენა“ გვმართებს და საერთოდ, ყველასი ტკბილის სახით, ტკბილის სიტყვით მიგებება:

— მოველოცავს ახალწელიწადი!


1881 წლის აღნიშნულ ნომერში „აქვსენტი ცაგარელის საახალწლო ფელეტონი და პოეტური შარჟი ილია ჭავჭავაძეზე...“ — ც იბეჭდება, მიზეზთა გამო არც მათ მოვიხმობ, სულ სხვა რამეს ვიტყვი და დროებით დაგვეშვიდობებით.

ყველა, ვისაც კი ეს გაზეთი ჩაუვარდება დღეს ხელში, ყველა განხარებული იქნება, ყველას სადღესასწაულო სახე ექნება და სადღესასწაულო ტანისამოსი ეცმება, ყველა პირველ დანახვაზედვე მოელის შენგან უთხრა...

უთხარი...

— მომილოცავს ახალწელიწადი! ღმერთმა მრავალ ამ დღეს დავასწროთ მშვიდობით და ბედნიერად!

ზოტის ეკონომიკის განვითარება



რეჯებ ართმელაძე

მისამამ კარიოლი -1990-2024 წ;

სოფლის ეკონომიკის განვითარების პირველი პერიოდი. ეს იყო კერძო საკუთრებაზე დამყარებული პირადი ოჯახური მეურნეობის მოწყობა და ნამეტი პროდუქტების ბაზარზე გაყიდვა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სოფელ ზოტის ჩონაჭურთან და ოზურგეთთან დაკავშირება მხოლოდ საცალოდ ბილიკებით და ცხენით შეეძლო.

ზოტელები მისდევდნენ და განავითარეს მეცხოველეობა (ძროხა, კამენი, თხა, ცხვარი); ჰყავდათ ფუტკარი, ჰქონდათ საზაფხულო საძოვრები ზოტიმერიასა და კიდაბანას მთაზე. გადასახადს კეკელიძის უხდიდნენ. ალპურ საძოვრებზე ძირითადად ქალები და ბავშვები მიდიოდნენ.

მწყემსებად მამაკაცები არიან. მოწყველა და რძის პროდუქტების დამუშავება ქალების მოვალეობას შეადგენს.

მოჰყავდათ და დღესაც მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, ნიორი, მწვანე ხაჭაპური. პროდუქტები ჩაჰქონდათ

აცურებდნენ გუბაზეულით და ჰყიდდნენ ნაგომარში. ამ კომპანიას დიდხანს არ უარსებია.

მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი მუშაობისა, სოფლის ეკონომიკის განვითარებაში მთავარ ადგილი მესაქონლეობას ეკუთვნოდა.

1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკა მოიშალა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დამყარებული ცხოვრება დაიწყო.

1921 წელს სოფელ ზოტში პირველი მაღაზია გაიხსნა, სადაც პირველი მოთხოვნილების საგნები იყიდებოდა.

სოფლის მაცხოვრებლებს შორის წერა-კითხვის მცოდნე არავინ იყო და სოფლის მოწინავე ადამიანების - ფაიყო და მეგლუდ ანთაძის თხოვნით, 1928 წელს გურიის კომიტეტმა, ხევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ზოტში პირველი მასწავლებელი - გრიშა კაპიტონის ძე მამალაძე ამოიყვანა და ფაიყო ანთაძის ოჯახში 4 ბავშვზე გაიხსნა სკოლა. იმავე წელს, დაწყებითი სკოლისათვის დაიდგა ხის შენობა.

1931 წელს სოფელში ბიბლიოთეკა გაიხსნა, სადაც 100-მდე წიგნი იყო.

1932 წელს საფერშლო პუნქტი გაიხსნა, რომლის შენობაც კომკავშირელებმა ააგეს. მომდევნო წელს კი სოფელში ფურნე აიგო. გათლილი ქვები სოფელ ხევიდან ცხენებით ამოზიდეს.

კოლმეურნეობა სოფელ ზოტში 1939 წელს ჩამოყალიბდა და პირველი თავმჯდომარე ფაიყო ანთაძე იყო. ადგილობრივი ძალებით ააგეს კოლმეურნეობის ორსართულიანი შენობა და კლუბი.

კოლმეურნეობის ფერმის შესაქმნელად ყველა ოჯახმა თითო ძროხა და ხარი მიიყვანა.

ომის წინ სოფელში უკვე იყო რვაწლიანი სკოლა და შეიქმნა სასოფლო საბჭო.

მეორე მსოფლიო ომში ზოტიდან 13 ახალგაზრდა წავიდა, საიდანაც 5 ბრძოლის ველზე დაიღუპა.

1944-47 წლებში ზოტის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა უსუფ მეგლუდის ძე ანთაძე. ეკონომიურად გაძლიერებულმა ოჯახებმა დაიწყეს ოლა სახლები ააგეს.

კოლმეურნეობის ფერმისათვის ზოტში და ზოტიმერიაში აიგო საქონლის სადგომი ბინები. 1947-49 წლებში ადგილობრივი ძალებით სკოლის ორსართულიანი შენობა ააგეს, რომელიც შემდეგ საშუალო სკოლის შენობად იქნა გამოყენებული. ზოტელები აქტიურად მონაწილეობდნენ ჩონატაური-ბანძაროს გზის მშენებლობაში.

1954 წელს ზოტის კოლმეურნეობას სოფელ ბუკნარის ტერიტორიაზე გადაეცა 30 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც მეჩაიებისათვის საცხოვრებელი ბინებიც აშენდა.

ამ პერიოდში სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო რეჯებ ართმელაძე, რომელიც გახლდათ გონება გამჭრიახი, იუმორის მქონე და რეგონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

რეჯებ ართმელაძის ძალისხმევით კოლმეურნეობამ მიიღო ტრაქტორები, ავტომანქანები.

ზოტელებმა მეჩაიეობა სახელი გაითქვეს ჩაის კრეფაში. სოფლის ეკონომიკაც გაძლიერდა. რეჯებ ართმელაძის დამსახურება იყო ისიც, რომ ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში მაღალმთიან სოფლებს ოჯახში ერთ სულზე მეტი ძროხის ყოლის უფლება დართეს. შემდეგ



წლებში კი თითოეულ ოჯახს ჰყავდა 5-6 ძროხა, თხები და უზრუნველყოფილი იყვნენ რძის პროდუქტებით.

80-იან წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეები იყვნენ ომარი ირემაძე და შოთა ართმელაძე, რომელთა კარგი მუშაობით ზოტი მილიონერ კოლმეურნეობათ რიცხვში შევიდა.

მიუხედავად მიგრაციული პროცესებისა, გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფელ ზოტში 226 კომლი იყო, 218 სკოლის მოსწავლე და არაერთი უმაღლეს დამთავრებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჯერ გარდაქმნის, შემდეგ კი საზოგადოებრივი საკუთრებაზე დამყარებული ცხოვრება დაიშალა და კერძო საკუთრებას დაუბრუნდა ცხოვრება.

დაიშალა ყველა შენობა და გაიყიდა. ფერმის საქონელი მოსახლეობას გადაეცა. ჩაის კრეფა შეწყდა. გარდა მეცხოველეობისა, სოფელში შემოსავლის წყარო არ იყო და ამიტომ ზოტელებმა ხე-

ვეროსტანდარტების საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, ყველა ოჯახს მიეწოდება სასმელი წყალი, „ზოტი ჰიდროს“ მშენებლებმა გაარემონტეს კვაბლა-ზოტის გზა, ხოლო ასლანან სოფელ ზოტში გაკეთდა 2 კილომეტრი კაპიტალური გზა, მოეწყო გაბიონები და დაიგო ასფალტი.

სოფელში არიან „აწარმოე საქართველოს“ პროგრამაში გამარჯვებულები.

2014 წელს ზოტში ჩამოყალიბდა კოოპერატივი „ულეველა“, რომელში 40 მეპაიე ოჯახი გაერთიანდა. კოპერატივმა ათვისა მაღალმთიანი რეგიონისთვის განკუთვნილი ორი სახელმწიფო პროგრამა, ხოლო გასული წლის გაზაფხულზე გაიხსნა ვეროსტანდარტების და ჰასპის პროგრამის სტანდარტების დაცვით რძის გადამამუშავებელი საწარმო, რომელმაც პირველი პროდუქციაც გამოუშვა. საწარმოს გახსნას გურიის გუბერნატორი გიორგი ურუშაძე, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, საინფორმაციო-საკონ-



„ულეველას“ რძის გადამამუშავებელი საწარმო

სის მიღება, რაც ყველა ქართველისათვის სასიხარულოა.

მინდა ამ წერილში მაღალმთიანი სოფელ ზოტის ეკონომიკა მიმოვიხილო, რისთვისაც წარსულსაც გადავხედო.

130 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფელი ზოტი ნასოფლარად ქცეული ღორჯომის ხეობიდან ჩამოსულმა 13-მა ოჯახმა ადლორდინა და დღეს აქ 200-მდე ოჯახია, 300-მდე ამომრჩეველი, 135 მოსწავლით და 45 ბავშვის აღსაზრდელით.

გადაავალდებოთ რა თვალს სოფლის წარსულ ისტორიას, სოფლის ეკონომიკური განვითარების სამი პერიოდი გამოიყოფა:

პირველი პერიოდი -1900-1921 წ;

მეორე პერიოდი -1921-1990 წ;



რძის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნაზე

ტყის დამზადებას მიჰყვებოდა.

მოსახლეობის ნაწილი მეწარმე გახდა, ამზადებდნენ მორებს, რომელსაც ბათუმში ჰყიდდნენ, ყიდულობდნენ ტრაქტორებს და „ურალის“, „კამაზის“ ტიპის მანქანებს, აკეთებდნენ ლენტურ სახერხებს.

წინა ხელისუფლების მმართველობის ბოლო პერიოდში ესეც შეიზღუდა, ზოტელებს მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტი ჩამოართვეს და ა.შ. ხე-ტყეზე მუშაობამ დიდი ვერაფერი შემატა სოფელს, გაიჩნა წიფლის ასწლოვანი ტყეები და 4 ადამიანის სიცოცხლაც შეიწირა.

2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, რამაც მაღალმთიან სოფლებს განვითარების საშუალება მისცა. ბიზნესს მიეცა ფართო გასაქანი. სოფელში აშენდა

სულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი მანანა მინდაძე, სოფლის მეურნეობის სააგენტოს წარმომადგენელი კონსტანტინე ხუციაძე და სხვა არაერთი სტუმარი ესწრებოდა. ამჟამინდელი პრობლემა არის ის, რომ არ გვაქვს რძის საზიდი ავტოციტერნა, ე.წ. „პიკაპი“, რომ რძე მიიტანონ საწარმოში.

სოფელ ზოტს ასეთი პროგრამებით და სწორი ეკონომიკური პოლიტიკით დიდი პერსპექტივა აქვს. გურიის ტურისტულ რუკაზე ზოტიც იპოვის თავის ადგილს, სოფელი სიცოცხლეს გააგრძელებს და გურიის მთებში, საზფხულო იალალებზე აღარ შეწყდება სიმღერა.

ნაზირი მძიმეაძე,

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ულეველა“ თავმჯდომარე.



ბიორგი ჩავლეშვილის მონო სექსტაკლი



ბილოცავთ ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი ძრისტიანულ დღესასწაულს – ნათლისღებას. უფლის წყალობა და მაღლი, წინსვლა და წარმატებები არ მოულოდენს ჩვენს ქვეყანას და თქვენს ოჯახებს

ბაჩანა ნიჟარაძე

ოჯორეთის საკრებულოს მკვიდრი დამფუძნებელი სოფ. მთისპირში, ვაკიჯვარსა და ცხველისხილში

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ახალგაზრდა მსახიობმა გიორგი ჩავლეშვილმა თავისი სადიპლომო ნაშრომი შესთავაზა მაყურებელს – სამუელ ბეკეტის „ელ ჯო“ საკმაოდ რთული, მაგრამ ამავე დროს მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური დრამა.

ამ მისი წარუშლელი კვალია



მძიმედ და უდროოდ დაგვტოვა ჩვენი მუზეუმის თანადამფუძნებელმა **თამაზ სალუშვაძემ**...უკურნებელი სენისგან ტანჯული მაინც არ გვტოვებდა ზრუნვისა და გულშემატკივრობის გარეშე! ბევრს დასწევითა გული...ჩვენ კი, ორმოცის დღესაც, სხვებთან ერთად ვლოცულობთ მისი იმქვეყნად მშვიდად განსვენებისათვის,

ვუთანაგრძნობთ მუზეუმის გამგეს რუსლან ურუშაძეს, ძვირფასი თამაზის დიდი ოჯახის მგლოვიარე წევრებსა და ჭირისუფლებს.

გაია გომორიკიძე, ლალი კობრიკაძე, ქეთევან და ლევან გორდელაძეები
–ლიხაურში ექვთიმეს მუზეუმის თანამშრომლები; 17 იანვარი, 2024 წელი.

კალანდა – 2024



წვიმა
-1+4
22 იანვარი
ორშაბათი

ღრუბელი
-2+5
23 იანვარი
სამშაბათი

წვიმა
0+5
24 იანვარი
ოთხშაბათი

წვიმა
0+4
25 იანვარი
ხუთშაბათი

წვიმა
თოვლი
-2+1
26 იანვარი -
პარაკევი

თოვლი
-3-2
27 იანვარი
შაბათი

ღრუბელი
-1+3
28 იანვარი
კვირა